„ვამტკიცებ“
შპს „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის“
რექტორი, ლ. ტვილდიანი

ბრძანება № _____წელი

დავით ტვილდიანის

სამედიცინო უნივერსიტეტი

კვლევით საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და შეფასების შედეგები

თბილისი 2018

კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი ეფუძვნება:

(i)კვლევითი პროექტის (კვლევის დაგეგმვის ფაზა) ექსპერტული შეფასების შედეგებს:

- ✓ კვლევითი პროექტის (განაცხადი) შემოტანის შემდეგ კვლევის პროექტი იგზავნება ექსპერტებთან შეფასების მიზნით, რომელიც აფასებს:
  - დაგეგმილი კვლევის აქტუალობასა და/ან სიახლეს
  - კვლევის დიზაინის და მეთოდოლოგიის ადექვატურობას
  - კვლევის მოსალოდნელი შედეგების თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას
- ✓ ექსპერტთა დადებით შეფასების შემდგომ ხდება მისი აკადემიურ საბჭოზე წარდგენა, რომელიც აფასებს:
  - პრობლემის აქტუალობას
  - კვლევის მიზნებს და ამოცანებს
  - კვლევის მეთოდების ადექვატურობას
  - ეთიკურ ასპექტებს
  - კვლევის თეორიულ და/ან პრაქტიკულ ღირებულებას
- ✓ კვლევის მიმდინარეობის შესახებ ანგარიში (პრობლემის არსებობის და/ან სხვა საჭიროების განსაზღვრის მიზნით). კვლევის პროგრესს მონიტორინგს უწევს სადოქტორო კომიტეტი და/ან აკადემიურ საბჭოზე, სამეცნიერო-კვლევითი დეპარტამენტი (საკითხვის განხილვა შესაბამისად ოქმდება).

(ii)კვლევით მიღებული სამეცნიერო შედეგების გამოქვეყნებისთანავე მიზანშეწონილობის შეფასებას:

- ✓ დასაბეჭდად მისაღებად ხდება peer-review შეფასება; ხარისხის შეფასებისთვის მიღებული მტკიცებულებაა რეფერირებად ჟურნალებსა და PubMed-ში გამავალი სხვადასხვა იმპაქტ ფაქტორის ჟურნალებში გამოქვეყნება.

(iii)კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენებისთვის რეკომენდაციის და/ან დანერგვის არსებობის შეფასებას:

- ✓ კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების რეკომენდაციათა არსებობა, კვლევის შედეგების დანერგვა; ხარისხის შეფასებისთვის მიღებული მტკიცებულებაა ასეთის (რეკომენდაცია, დანერგვა) არსებობა.

(iv)კვლევით და სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის შეფასების სხვა მექანიზმებია:

- ✓ აკადემიური პერსონალის და დოქტორანტთა კვლევების გარე (დონორიორგანიზაციების საგრანტო კონკურსით მიღებული) შეფასება

- ✓ ასევე, სამეცნიერო მუშაობის სახეობები, მოცულობა, კონტროლის ღონისძიებები, რომელსაც ითვალისწინებს დტსუ პედაგოგიური დატვირთვის დოკუმენტის თავი III (იხ. დანართი№56)

შეფასების შედეგები:

ბოლო 5 წლის (2013-2017 წწ) აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის ანალიზი აჩვენებს რაოდენობრივ და გარკვეულ ხარისხობრივ მანაცემებს; კერძოდ: ბოლო 5 წლის განმავლობაში უნივერსიტეტში არჩეული 68 პროფესორმა გამოაქვეყნა 232 სამეცნიერო სტატია, აქედან 175 რეფერირებად ჟურნალებში, მათგან 105 არის Pubmed-ში გამავალი (ასახული) და სხვადასხვა იმპაქტ-ფაქტორის; აქედან 4 და მეტი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში დაბეჭდილია 20 სტატია; მათგან ყველაზე მაღალი არის 31 იმპაქტ-ფაქტორიანი.

ძალზე მაღალია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვა ფორუმებში მონაწილეობა (ასახულია მათ პირად საქმეებში აბსტრაქტების, უწყვეტი პროფესიული განვითარების ამსახველი მონაცემების სახით): უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მიერ მათი ავტორობით, თანაავტორობით გამოცემულია 10 მონოგრაფია, სახელმძღვანელო და წიგნი. მათი ხელმძღვანელობით დაცულია 13 დისერტაცია დტსუ-ში, (2019 წ-ის სექტემბრის მდგომარეობით) ასევე მათი თანახელმძღვანელობით, ყარაგანდის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში, მომზადებულია (ყარაგანდის უნივერსიტეტის სადოქტორო სწავლების 5 დოქტორანტი) და დაცულია 5 დისერტაცია. (2019 წლის სექტემბრის მდგომარეობით)